ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 602
24/02/2017

602-02-4-201702241648

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყარის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის, სასადილოსა და გადასასვლელი შენობის დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2017 წლის 22 თებერვლის №3 ოქმის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ნება მიეცეს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყარის საჯარო სკოლას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყარში, აწარმოოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით: #43.14.41.005) მდებარე სკოლის სპორტული დარბაზის, სასადილოსა და გადასასვლელი შენობის დემონტაჟის სამუშაოები.

2. დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

3.დემონტაჟის სამუშაოების შემდეგ, ტერიტორიიდან გატანილ იქნეს სამშენებლო ნაგავი, სოფ. ჭითაწყარის წარმომადგენელთან შეთანხმებით.

4.დემონტაჟის სამუშაოები, წარმოებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტისა და კალენდარული გეგმის დაცვით.

5.დემონტაჟის სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს.

6 .ბრძანება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. #12)

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com

საფუძველი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N43.14.41.005

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი.

3. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი.

4. დემონტაჟის პროექტი.

5. ქვითარი მოსავრებლის გადახდის შესახებ.

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა